პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 აგვისტო შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 201 (14805)

**გუშინ ზეიმით აღინიშნა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი.**

**შემდგომი წარმატებანი და ბედნიერება ვუსურვოთ ყაზახეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, მოძმე რესპუბლიკის ყველა მშრომელს.**

## ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ და მათს ავანგარდს — კომუნისტთა მებრძოლ რაზმს ღირსშესანიშნავ იუბილეს — ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათ წლისთავს.

დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყაზახეთის მშრომელებმა განვლეს ბრძოლისა და გამარჯვებების დიდი გზა. მთელი რუსეთის პროლეტარიატთან და ღარიბებს გლეხობასთან საერთო რევოლუციური მიზნებით გაერთიანებულნი, ისინი აქტიურად იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. დაადგნენ რა სოციალიზმის მშენებლობის გზას, ყაზახეთის მშრომელებმა საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში მოიპოვეს ნამდვილი თავისუფლება, ეროვნული და სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, მიაღწიეს დიდ წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებაში.

დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში ყაზახმა ხალხმა გამოიჩინა სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება. ასეულათასობით მისი შვილი იარაღით ხელში მამაცურად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით, თავდაუზოგავად შრომობდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჭედდნენ მტერზე გამარჯვებას.

ორმოცდაათი წლის მანძილზე, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებითა და მხარდაჭერით ყაზახეთი — სილატაკისა და სიღარიბის მხარე — გადაიქცა რესპუბლიკად, სადაც სწრაფად ვითარდება თანამედროვე მრეწველობა, დიდად განვითარებულია სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ყაზახეთის ინდუსტრიულ სახეს დღეს განსაზღვრავენ ფერადი და შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმია, ქვანახშირის მძლავრი შახტები და ჭრილები, ნავთობსარეწები, დიდი ელექტროსადგურები. ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის სულ უფრო სრულად ვიყენებთ რესპუბლიკის წიაღის მრავალფეროვან სიმდიდრეს. სოფლის მეურნეობაში მომხდარი ძირეული გარდაქმნების, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად ყაზახეთი გახდა მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის უდიდესი მწარმოებელი ჩვენს ქვეყანაში. დღეს ყაზახეთი საყოველთაო წიგნიერების რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სხვა კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი. განუხრელად იზრდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. მოძმე ყაზახეთის მიღწევები გულწრფელადახარებენ ყველა საბჭოთა ადამიანს, ცხადყოფენ, თუ რა მწვერვალებს შეუძლია მიაღწიოს მატერიალური და სულიერი ცხოვრების დარგში ხალხმა, რომელსაც პროლეტარულმა რევოლუციამ შეგნებული შემოქმედების შესაძლებლობა მისცა.

ყაზახეთის სსრ მშრომელთა წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ყაზახი ხალხის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის მშრომელებს ზრდის საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, წარმართავს მათს ენერგიას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს საპატიო ჯილდოს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს და გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ყაზახეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ კომუნიზმის აშენებისათვის, ახალი წარმატებებითა და მიღწევებით შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

გაუმარჯოს ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და მის ხალხს, რომელიც მტკიცედ მიდის კომუნიზმის მშენებლობის გზით!

გაუმარჯოს ყაზახეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი** | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**



## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ყაზახეთის სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე**

მოსკოვი, კრემლი, 1970 წლის 27 აგვისტო.



ალმა-ატა. 1970 წლის 28 აგვისტო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ყაზახეთის სს რესპუბლიკის დროშაზე ამაგრებს ოქტომბრის რევოლუციის ორდენს. სურათზე მარჯვნივ — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი.

ტასსი. (მიღებულია სატელეფოტო ფოტოტელეგრაფით).

## გმირული ბრძოლისა და შრომითი მიღწევების ნახევარი საუკუნე

### ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

**დიდი** და სასიხარულო დღესასწაული აქვთ ყაზახეთის მშრომელებს. ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ისინი ზეიმით აღნიშნავენ ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

კომუნისტური პარტიის ნებით, ხალხის გმირული შრომით სახე იცვალა ოდესღაც ჩამორჩენილმა მხარემ. ახლა ყაზახეთი ინდუსტრიული რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა, მდიდარი სოციალისტური კულტურა. ყაზახეთის სსრ მშრომელები აჯამებენ თავიანთი დიადი რევოლუციური მონაპოვრების, ყოველივე იმის შედეგებს, რასაც ნახევარი საუკუნის მანძილზე მიაღწიეს, და ამავე დროს ახალი ძალით ცხადყოფენ ურყევ შეკავშირებას მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მზადყოფნას მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

28 აგვისტოს ალმა-ატაში გაიმართა ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და საბჭოთა არმიის მეომართა მონაწილეობით. ვ. ი. ლენინის სახელობის სასახლის ვრცელ, სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები — საბჭოთა ყაზახეთის სახელოვანი ნახევარი საუკუნის ისტორიის შემოქმედნი. აქ შეიკრიბნენ ისინი, ვინც მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლება, ვინც თავისი საბრძოლო და შრომითი გმირული საქმეებით გაუთქვა სახელი სამშობლოს, — წარმოების მოწინავენი, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები.

...დილის 10 საათია. ტაშის გრიალში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი**, ყაზახეთის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა მეთაურები, მხედართმთავრები.

მიმართა რა საზეიმო კრების მონაწილეებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა თავის შესავალ სიტყვაში თქვა:

დიდი ოქტომბრით განახლებულ უძველეს და მშვენიერ ყაზახეთის მიწაწყალზე დიდი და სასიხარულო დღესასწაული მოვიდა. საბჭოთა ყაზახეთის მშრომელები, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, ზეიმით აღნიშნავენ ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

ამ დღეებში რესპუბლიკის მშრომელები აჯამებენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების, ყოველივე იმის შედეგებს, რაც გაკეთდა და მიღწეულია ნახევარი საუკუნის მანძილზე, და ახალი ძალით ცხადყოფენ თავიანთ შეკავშირებას მშობლიური პარტიის გარშემო, მზადყოფნას მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დიდმა ოქტომბერმა ყაზახ ხალხს გაუკვალა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავების გზა. მეფის რუსეთის წინათ ჩამორჩენილი განაპირა მხარე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების, და უწინარეს ყოვლისა რუსი ხალხის ძმური დახმარებით გადაიქცა აყვავებულ მხარედ, მაღალგანვითარებული ინდუსტრიის, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

ეს პერიოდი ყაზახი ხალხისა და ყაზახეთის ყველა მშრომელისათვის იყო კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე შესანიშნავ მიღწევათა და გამარჯვებათა პერიოდი.

(გაგრძელება მე-3 გვ.).

## სოციალიზმით შობილი ხალხთა დიადი ძმობა

### ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო,** ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებო, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო და ამ საზეიმო სხდომის ყველა მონაწილენო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით სულითა და გულით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელთ დიდ დღესასწაულს — ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

გულახდილად უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ჩემთვის მეტად სასიამოვნოა თქვენთან ერთად ვიყო ამ დღესასწაულზე, გამოვიდე აქ, საბჭოთა ყაზახეთის დედაქალაქში. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციასთან მაკავშირებს უშუალო მუშაობა აქ ყამირის გატეხის წლებში. იმ დროს მე მუდამ გულთბილად და მადლიერებით ვიხსენებ. მან შესაძლებლობა მომცა ახლოს გავცნობოდი ჩვენს ერთ-ერთ უშესანიშნავეს რესპუბლიკას, მის საინტერესო, ვაჟკაცობითა და ენერგიით აღსავსე ხალხს.

ამხანაგებო! საბჭოთა ყაზახეთის ნახევარი საუკუნის იუბილე აღინიშნება ღირსშესანიშნავ დროს. რამდენიმე თვის წინათ მთელმა ჩვენმა ხალხმა, მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ადამიანმა ზეიმით აღნიშნეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავი. საბჭოთა ადამიანები მათთვის ძვირფას ამ თარიღს ახალი მიღწევებით შეხვდნენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ამ მშენებლობის გაჩაღებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმები. მათ განიხილეს სამეურნეო პოლიტიკის პრინციპული საკითხები, თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ეკონომიკის და, კერძოდ, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები.

ახლა ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ქვეყანა ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობისათვის. ეს იქნება დიდი მოვლენა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. ყრილობამ უნდა შეაჯამოს საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრებისა და მისი საგარეო პოლიტიკის ყველა სფეროში ხუთი წლის მუშაობის შედეგები, დასახოს ჩვენი შემდგომი განვითარების გზები, დიადი მიზნის გზით ჩვენი წინსვლის ახალი ეტაპები. უკვე ახლა შეგვიძლია კმაყოფილებით ვთქვათ, რომ ყრილობისათვის მზადება დაიწყო საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის დიდი აღმავლობის ვითარებაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ უდიდეს ცვლილებებსაც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა ყაზახეთში, თქვენი რესპუბლიკის დიდ წარმატებებსა და დღეს მის წინაშე მდგომ კიდევ უფრო დიდ ამოცანებს.

ამხანაგებო! თვითეული ხალხის ისტორიაში არის მოვლენები, რომლებიც სამუდამოდ გვამახსოვრდება, როგორც ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც ხალხის ყველაზე ნათელ მისწრაფებათა და მიღწევათა წარუვალი სიმბოლო. სწორედ ასეთი მოვლენა იყო ყაზახი ხალხისათვის დეკრეტი „ყირგიზეთის (ყაზახეთის) ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას შესახებ“, რომელსაც 1920 წლის 26 აგვისტოს მოაწერეს ხელი ვ. ი. ლენინმა და მ. ი. კალინინმა. ჩვენი პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკის მტკიცე და თანმიმდევრული განხორციელება მთელი ძალით გამოვლინდა საბჭოთა ყაზახეთის ისტორიულ ბედში.

მხოლოდ ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მეფის რუსეთის მიგდებული, წარსულში ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარე გადაიქცა განვითარებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

უბადრუკი საველე მომთაბარეობიდან მძლავრ საბჭოთა მეურნეობებამდე და კოლმეურნეობებამდე, პრიმიტიული მაღაროებიდან და თვითნაკეთი საქსოვი დაზგებიდან შესანიშნავ ინდუსტრიამდე. შიმშილიდან, უმეცრებიდან, უწიგნურობიდან თვითმყოფი, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის შესანიშნავ აყვავებამდე — ასეთია საბჭოთა ყაზახეთის აღორძინების გზა.

ყაზახეთის უკიდეგანო სივრცეებზე აღიმართა თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გიგანტები, კეთილმოწყობილი ქალაქები და სოფლები სკოლებით, საავადმყოფოებით, კულტურის ცენტრებით. ალტაის მთებიდან კასპიის ზღვამდე ჩქეფს ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

ყაზახეთის მშრომელთა მიღწევებით ამაყობს ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებსაც აერთიანებს ურყევი ძმობა, ისტორიული გზის ერთიანობა, ინტერესებისა და მიზნების ერთიანობა. ეს არის სიამაყე კლასობრივი ძმებისა, რომლებსაც აკავშირებთ საერთო ბედი, კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმე, რასაც მიუძღვნეს მთელი თავიანთი სიცოცხლე. ეს არის სიამაყე ადამიანებისა, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამხანაგის ბედში და თავის მხრივ გამდიდრდნენ მასთან მეგობრობით.

„ფრინველის ძალა ფრთებია, ადამიანის ძალა — მეგობრობა“, — ამბობს ყაზახური ანდაზა. ღრმა აზრი, დიდი ცხოველობა შთაბერა ამ სიტყვებს საბჭოთა სინამდვილემ.

მიწის შესახებ, თურქესტანში სარწყავი სამუშაოებისათვის სახსრების ასიგნების შესახებ ლენინური დეკრეტებით, ობუხოვის კომუნით, რომელიც აღმოსავლეთ ყაზახეთის მიწებზე მოაწყეს პროლეტარული პიტერის წარმომადგენლებმა და ყაზახეთის ველზე მოიტანეს ბოლშევიკური ენერგია, ნებისყოფა და პროლეტარული ორგანიზებულობა, დაიწყო უდიდესი რევოლუციური გარდაქმნები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

საკუთარი ინდუსტრიის შექმნის გზაზე პირველივე ნაბიჯები ყაზახეთმა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დახმარებით გადადგა. რუსები და ყაზახები, უკრაინელები და ბელორუსები, ყველა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები აშენებდნენ თურქესტან-ციმბირის რკინიგზასა და ყარაგანდის შახტებს, ემბის ნავთობსარეწებსა და მადნეულით მდიდარი ალტაის, ჩიმკენტის, ბალხაშის სამრეწველო საწარმოებს, მოსკოვის, ურალის, ლენინგრადის, დონბასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები შეფობდნენ ყაზახეთის ახალმშენებლობებს, უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას, ეხმარებოდნენ ეროვნული კადრების შექმნაში.

ყაზახეთის მშრომელებმა იციან: მათი რესპუბლიკის, ისევე როგორც სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების გიგანტური სამრეწველო პროგრესი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ერთობლივი შრომის შედეგია და მკაფიოდ გამოხატავს სოციალისტური ეკონომიკის გეგმიანი ორგანიზაციის უპირატესობებს მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მასშტაბით.

„ჩვენ ვმბრძანებლობთ, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — არა განცალკევებით, ძველი რომის სასტიკი კანონის თანახმად, არამედ იმით, რომ ვაერთიანებთ ყველა მშრომელს ცოცხალი ინტერესების, კლასობრივი შეგნების განუწყვეტელი ჯაჭვით, და ჩვენი კავშირი, ჩვენი ახალი სახელმწიფო უფრო მტკიცეა ძალმომრეობითს ხელისუფლებაზე, რომელიც სიცრუით და მახვილით აერთიანებს იმპერიალისტებისათვის საჭირო ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს“.

ლენინის ამ სიტყვების სიმართლე განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. ერთიან და მძლავრ საბრძოლო ბანაკად აღდგა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, მზად იყო გადაეტანა ყოველგვარი განსაცდელი წმიდათა-წმიდა და მართალი საქმისათვის სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, საბჭოთა ხალხების, მათი მშობლიური სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, ყველა რესპუბლიკამ, თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა ფრონტზე საბჭოთა ყაზახეთმა. რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს იმით, რომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა მის ხუთასამდე შვილს.

ყოველთვის გვემახსოვრება, რომ ომის წლებში ყაზახეთი იყო საიმედო ზურგი, სადაც იქმნებოდა წითელი არმიის საბრძოლო ნაწილები, იყო ჩვენი ქვეყნის მძლავრი არსენალი და დიდმნიშვნელოვანი ბეღელი. სწორედ აქ, ყაზახეთში, როგორც დღეს აქ მოგვაგონა ამხანაგმა კუნაევმა შეიქმნა სახელგანთქმული პანფილოვის დივიზია, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იდგა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მისადგომებთან. უაღრესად ძნელ პირობებში, რეკორდულად მოკლე ვადებში იწყებდნენ მეორე სიცოცხლეს ყაზახეთის მიწა-წყალზე დასავლეთი და ცენტრალური ოლქებიდან ევაკუირებული საწარმოები.

იმ წლებში ყაზახეთი მშობლიურ სახლად გადაიქცა მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის, რომელთა სახლები გადაწვეს და დაანგრიეს ფაშისტმა ბარბაროსებმა. უკრაინასა და ბელორუსიაში, რუსეთისა და ბალტიისპირეთის ქალაქებსა და სოფლებში არასოდეს არ დაივიწყებენ გულითად მასპინძლობას, რომლითაც ომის მძიმე წლებში ყაზახი ხალხი შეხვდა ევაკუირებულებს, შეიხიზნა და დააპურა, ადგილი მისცა თავის კერასთან.

სწორედ სამამულო ომის წლებში „პრავდაში" დაიწერა სიტყვები, რომლებიც კარგად გამოხატავენ ყველა საბჭოთა ადამიანის გრძნობებს ყაზახი ხალხისადმი: „ჩვენში უყვართ პირდაპირი, გულღია, მამაცი ყაზახები, მათი თავმდაბლობა, მათი ერთგულება".

დრომ ვერ წაშალა და ვერ შეამცირა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო განამტკიცა ამ სიტყვების მნიშვნელობა. დღეს, როცა აღვნიშნავთ საბჭოთა ყაზახეთის 50 წლისთავს, სიამაყით ვლაპარაკობთ რესპუბლიკის მშრომელთა ახალი თაობის — ყამირის დამპყრობთა, ინდუსტრიული გიგანტების მშენებელთა მამაცობასა და გმირობაზე, პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებასა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულებაზე.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება ნათელი ფურცელია საბჭოთა ხალხის სახელოვან საქმეთა მატიანეში. იგი სამუდამოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც საყოველთაო-სახალხო გმირობა, როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, ჩვენი სახელმწიფოს ყველა ხალხის მოძმეების ერთიანობის განსახიერება.

საბჭოთა კავშირის მთელი მრავალეროვანი მუშათა კლასი აქტიურად მონაწილეობდა პირველი კლასის ტექნიკით ყამირის საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფაში. იმ დაუვიწყარ წლებში ქვეყნის ყველა კუთხიდან უწყვეტ ნაკადად მიდიოდა ყაზახეთში ახალი ტექნიკა: ვოლგოგრადიდან და ჩელიაბინსკიდან, ხარკოვიდან და მინსკიდან—ტრაქტორები, გორკიდან და იაროსლავლიდან—სატვირთო ავტომანქანები, უზბეკეთიდან, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკებიდან — სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები.

პარტიის მოწოდებით რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან ყაზახეთში ჩამოვიდა ასეულათასობით მოხალისე პატრიოტი. ქვეყნის ყველა ხალხის წარმომადგენლები საერთო ძალით ტეხდნენ ყამირს. და შემთხვევითი არ არის, რომ ყამირის ბევრი საბჭოთა მეურნეობა ატარებს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ქალაქებისა და რაიონების სახელს.

ჩვენი ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობის, ორმოცდაათიანი წლების კომკავშირელების, ყამირი მიწების დამპყრობლების გმირობა, იმათი გმირობა, ვინც სიცოცხლე შთაბერა ყაზახეთის გიგანტურ სივრცეებს, ბუნების ძალები, საუკუნეების მანძილზე რომ თვლემდნენ, ჩააყენა ადამიანის სამსახურში, კომუნიზმის სამსახურში!

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის უდიდეს დახმარებას ყაზახეთის მშრომელები ღრმად გრძნობენ ყველა თავიანთ დიდ და პატარა საქმეში. ქვეყნის სამასზე მეტი სამრეწველო საწარმო, თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ორმოცდაათამდე სპეციალიზებული ორგანიზაცია აშენებენ „ყაზახეთის მაგნიტკას" — ყარაგანდის მეტალურგიულ ქარხანას. ამ დიად მშენებლობაზე ერთსულოვნად შრომობენ საბჭოთა კავშირის ორმოცდასამი ეროვნების წარმომადგენლები.

და ასეა ყველგან მრავალეროვან ყაზახეთში, სადაც მუშაობენ და ცხოვრობენ თითქმის ასი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ასეა ყველგან ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ ეს არის, ამხანაგებო, საბჭოთა ხალხების მეგობრობის ლენინური პოლიტიკის, ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეის კონკრეტული პრაქტიკული განსახიერება. ჩვენი პარტია განუხრელად ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს და მაღლა ატარებს ინტერნაციონალიზმის დროშას, თვალისჩინივით უფრთხილდება საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობასა და ერთიანობას. და მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს დაარღვიოს სოციალიზმით შობილი მონოლითური ერთიანობა, ეს დიადი ძმობა.

ძვირფასო ამხანაგებო! მოძმე რესპუბლიკებს შორის ყაზახეთის სს რესპუბლიკა ერთ-ერთი უდიდესია ტერიტორიის მხრივ. ზღაპრულია მისი სიმდიდრე: ფერადი ლითონების, ნავთობის, ქვანახშირის, ქრომიტების, რკინის მადნისა და ფოსფორიტების დაზვერილი მარაგით რესპუბლიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში.

აურაცხელია ყაზახეთის პოტენციური შესაძლებლობანი. არანაკლებ საოცარია მისი სწრაფი ზრდა.

1969 წელს რესპუბლიკის საწარმოებმა გამოუშვეს 132-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1913 წელს, და 17-ჯერ მეტი, ვიდრე ომისწინა 1940 წელს. მხოლოდ უკანასკნელ შვიდ წელიწადში ყაზახეთის სამრეწველო წარმოება თითქმის ერთიორად გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყაზახეთი გახდა ფერადი მეტალურგიის დიდი ბაზა. მთელი ქვეყანა ამაყობს ისეთი გიგანტებით, როგორიც არიან უსტ-კამენოგორსკის ტყვია-თუთიისა და ტიტანიუმ-მაგნიუმის კომბინატები, ბალხაშისა და ჯეზკაზგანის სამთო-მეტალურგიული კომბინატები.

პარტიისა და მთავრობის სამეურნეო პოლიტიკამ უზრუნველყო ყაზახეთში ინდუსტრიის ისეთი წამყვანი დარგების დაჩქარებული განვითარება, როგორიც არის შავი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, ნავთობქიმიური და კვების მრეწველობა. ყაზახეთის მაგნიტკა და სოკოლოვო-სარბაის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ყარაგანდის ქვანახშირის შახტები, ეკიბასტუზის ჭრილები, მანგიშლაკის ნავთობსარეწები ჩვენი თანამედროვე სოციალისტური ეკონომიკის ძლიერებისა და დინამიზმის მკაფიო ნიმუშებია.

მომავალ ხუთწლედში ყაზახეთის მრეწველობის წინაშე დგას ქიმიური მრეწველობის, მათ შორის მინერალური სასუქების წარმოების განვითარების დიდი ამოცანები.

ყაზახეთის მრეწველობის მუშაკთა დიდი და პასუხსაგები საქმეა დაამთავრონ პავლოდარის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა, მთელი მოცულობით ჩააყენონ მასი სიმძლავრენი სახალხო მეურნეობის სამსახურში.

ჩვენ, ამხანაგო ყაზახეთლებო, თქვენთან ერთად ვამაყობთ იმით, რომ თქვენი საწარმოების პროდუქცია დღეს იგზავნება მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში. ეს თქვენი პროდუქციის საერთო დონის კარგი ატესტაციაა. მაშ, ამხანაგებო, გაუფრთხილდით ყაზახეთის მარკის პრესტიჟს, დღენიადაგ იბრძოლეთ თქვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სასიხარულოა, აღვნიშნოთ, რომ ყაზახეთის ქარხნებსა და ფაბრიკებში აქტიურად ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, შრომის მოწინავე მეთოდები.

ყველამ იცით, ამხანაგებო, თუ რა მტკიცედ სახავს ჩვენი პარტია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანას, რომელიც ჩვენს დროში ერთ-ერთი ცენტრალური ეკონომიური ამოცანაა. ახლა ჩვენს ეკონომიკაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა განვახორციელოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. მასზეა დამოკიდებული, აქედან გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების განვითარების ბევრი პრობლემის გადაჭრა. საბჭოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თვითეულმა ხელმძღვანელმა, თვითეულმა მშრომელმა უნდა შეიგნოს ეს და აქტიურად მონაწილეობდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებაში, ესმოდეს მოთხოვნები, რომლებსაც იგი გვიყენებს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სულ უფრო ღრმად იჭრება ყაზახეთის სახალხო მეურნეობაშიც. როცა აღვნიშნავთ ამ საქმეში მოპოვებულ უცილობელ მიღწევებს, საჭიროა ნაკლოვანებებიც დავინახოთ. განა შეიძლება, მაგალითად, შევურიგდეთ იმას, რომ მექანიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიისა და წარმოების პროგრესული ორგანიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტის მნიშვნელოვანი ნაწილი „ინთქმება" დამხმარე სამუშაოებზე, სადაც დღემდე ჯერ კიდევ დიდია ხელის შრომის ხვედრითი წონა. ფაქტია ისიც, რომ მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ სრულდება წარმოების ტექნიკური განვითარების, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები. კომუნისტების ღირსების საქმია სათავეში ჩაუდგნენ ლაშქრობას ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ჩვენს დროში წარმოების ტექნიკური განვითარების გეგმები პირველ ადგილზე უნდა იყოს და მათ შესრულებას ისეთივე მომთხოვნელობითა და სიმკაცრით უნდა მოვეკიდოთ, როგორც საწარმოო დავალებათა შესრულებას.

ამხანაგებო! მნიშვნელოვანია თქვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული წონა საბჭოთა ქვეყნის საერთო-სახალხო მეურნეობაში. მაგრამ ამასთან თანამედროვე ყაზახეთი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ძირითადი ბეღელიც, ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის უდიდესი ბაზაც არის.

მრავალი მილიონი ჰექტარი წინათ უსიცოცხლო ტრამალები, ახლა კი ათვისებული, ნაყოფიერი მიწები, ათას ექვსასამდე საბჭოთა მეურნეობა და ოთხასზე მეტი კოლმეურნეობა, რომლებიც აღჭურვილია მძლავრი თანამედროვე ტექნიკით, ახლა გადაიქცნენ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის წარმოების ნამდვილ ფაბრიკებად. ყოველივე ეს თანამედროვე ყაზახეთის მკაფიო ნიშნებია.

ვისაც ბევრი შეუძლია, იმას ბევრიც მოეთხოვება. რაც უფრო დიდია ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მასშტაბები, რაც უფრო მეტი მანქანა გამოდის მის ყანებში, მით უფრო დიდია თქვენი რესპუბლიკის როლი ქვეყნის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის საერთო-სახალხო საქმეში, რომელიც დაიწყო პარტიის ინიციატივით და განვითარდა ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით. მით უფრო დიდია, ამხანაგო ყაზახეთლებო, აგრეთვე თქვენი პასუხისმგებლობა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

ყველამ იცის, რომ ყაზახეთის მიწათმოქმედნი ძნელ პირობებში მუშაობენ. ცხელი, გვალვიანი ზაფხული, სუსხიანი ზამთარი, ძლიერი ქარი — ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს ქმნის. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯეროვნად აფასებს ყაზახეთის პარტიული ორგანიზაციების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის დიდ მუშაობას ამ სიძნელეთა დაძლევისათვის. თქვენ, ამხანაგებო, მართლაც რომ შემოქმედებითად მიუდექით ყამირის მიწათმოქმედების ბევრი საკითხის გადაწყვეტას. მიწათმოქმედების ნიადაგდასაცავი სისტემა, რომელიც თქვენ შეიმუშავეთ და ფართოდ ნერგავთ, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამეგობრობის, ადგილობრივი პირობების რეალური გათვალისწინების კარგი ნიმუშია.

ამასთან ერთად არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის არც თუ ისე მცირე რეზერვები.

ცნობილია, მაგალითად, თუ რა დიდი სამუშაოები წარმოებს ყაზახეთში მიწების მელიორაციისათვის, რა დიდი საირიგაციო ნაგებობანი შენდება რესპუბლიკაში. მათ შორის არის საბრინჯე სისტემები ყზილ-ორდისა და ჩიმკენტის ოლქებში. თქვენი ვალი, თქვენი მოვალეობაა დააჩქაროთ ამ ნაგებობათა მშენებლობის ტემპები, დროზე დაამთავროთ ისინი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის ვრცელი ზონის შექმნა ხომ უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. ამ ამოცანის განხორციელება დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარების გზაზე.

შარშან, ამინდის მძიმე პირობების მიუხედავად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. შესრულდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის დამზადების დავალებებიც. ახლაც მონაცემები მოსავლის აღების შესახებ ცხადყოფენ, რომ, როგორც ჩანს, წელსაც რესპუბლიკა მთლიანად შეასრულებს თავის მოვალეობას ქვეყნის წინაშე. პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა ყაზახეთის მშრომელები საიუბილეო წელს ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა მთლიანად და უდანაკარგოდ აიღონ მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავალი და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.

მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება ყაზახეთის უდიდესი რეზერვია. მისი გამოყენება რესპუბლიკას აიყვანს ახალ მწვერვალებზე. ამაში ეჭვი არ გვეპარება.

დიდი შესაძლებლობანი აქვს რესპუბლიკას აგრეთვე ხორცეულ მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის, უფრო იაფი ხორცისა და მატყლის მიღებისათვის. განუხრელად იზრდება ყაზახეთის, როგორც მეცხოველეობის დიდი ბაზის როლი. 1969 წელს ყაზახეთმა სახელმწიფოს მისცა ექვსჯერ მეტი ხორცი, ვიდრე ომისწინა 1940 წელს. მეცხოველეების ბარაქიანი მუშაობის შედეგად სრულდება ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის შესყიდვის ხუთწლედის დავალებანი. ვიმედოვნებთ, რომ ყაზახეთის პარტიული ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის მშრომელები არ დასჯერდებიან ამას და ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პრობლემის გადაჭრაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა მთავარ და უპირველეს ამოცანად დასახა მომავალ ხუთწლეულში სოფლის მეურნეობის უფრო სწრაფი განვითარება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საფუძველზე. ახალ ხუთწლედში ყაზახეთისთვის გამოყოფილი იქნება მნიშვნელოვნად მეტი კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო-საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ტექნიკის შეძენისათვის. გათვალისწინებულია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიაწვდიან მეტ ტრაქტორებს, მარცვლის ასაღებ კომბაინებს, სატვირთო ავტომობილებს, მინერალურ სასუქებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს.

როგორც იცით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას მექანიზატორთა კადრებით. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყაზახეთისთვის, რადგან თქვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მექანიზატორთა მწვავე ნაკლებობას განიცდიან. პარტიული და სამეურნეო ორგანოების მოვალეობაა ყურადღებითა და ზრუნვით ეკიდებოდნენ მექანიზატორებს, ყოველ ღონეს ხმარობდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი შენარჩუნებისათვის. მექანიზატორებს უნდა შევუქმნათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები, გავაძლიეროთ მათი მატერიალური დაინტერესება, გავაუმჯობესოთ მათი ყოფა, განვახორციელოთ მორალური წახალისების ეფექტიანი ღონისძიებანი.

ახმარს რა უდიდეს სახსრებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ამაღლებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ დაინტერესებას, სახელმწიფოს იმედი აქვს, რომ ახალ ტექნიკას, ახალ მელიორირებულ ფართობებს, და დამატებით ფულად შემოსავალს გამოიყენებენ ყაირათიანად, მისცემენ ქვეყანას საჭირო ამოგებას, რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, მუშათა კლასის დიდ დახმარებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები უპასუხებენ ახალი შრომითი აღმავლობით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, შრომის კულტურისა და ნაყოფიერების ამაღლებით.

ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის მიერ დასახული ახალი ამოცანები უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, მთელ ჩვენს კადრებს, თვითეულ მშრომელს.

განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ საჭიროა ყოველნაირად გადიდდეს მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობა, განმტკიცდეს ორგანიზებულობა, შრომის დისციპლინა, განუხრელად სრულდებოდეს ჩვენი საბჭოთა კანონები. ყოველივე ამის შესახებ სერიოზული, მკაცრი სჯა-ბაასი იყო ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე. კანონების ზუსტად დაცვაზეა ლაპარაკი ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებაშიც.

არასწორი და მავნეც კი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ეს მოთხოვნები გამოწვეული იყოს რაიმე საგანგებო გარემოებებით. სოციალიზმმა შვა ჯერ კიდევ ისტორიაში არნახული შემოქმედებითი ენთუზიაზმი, მილიონთა მასობრივი თავდადებული შრომა, არა იძულებითი შრომა, არამედ როგორც მშრომელთა მაღალი შეგნების შედეგი. ამის მაგალითი უამრავია. არსებითად ჩვენი სახელმწიფოს მთელი ისტორია ამის საუკეთესო მაგალითია.

მაგრამ ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ თანამედროვე მსხვილი სოციალისტური წარმოების განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელება ამ წარმოებაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს უყენებს ახალ სერიოზულ და ამასთან ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნებს შრომის კულტურის, ორგანიზებულობისა და შრომითი დისციპლინის ამაღლების თვალსაზრისით, ახალი ტექნიკის რაციონალურად, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების თვალსაზრისით. უამისოდ, ამხანაგებო, ყველაზე დიდი კაპიტალდაბანდებანი ჩვენი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვნად დაკარგავდა ფასს. უამისოდ ვერ უზრუნველვყოფდით საჭირო პროგრესს ჩვენი მთავარი სოციალურ-ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სავსებით ცხადია, რომ შრომის კულტურის ყოველმხრივ ამაღლება — ეს არა მარტო უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, არამედ უდიდესი მასშტაბის საქმეც არის. ის რომ სათანადოდ განვახორციელოთ, საჭიროა მთელი ჩვენი პარტიის, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს, პროფკავშირთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დიდი, ბეჯითი მუშაობა.

ამხანაგებო! მე უკვე ვილაპარაკე ყაზახეთის ეკონომიურ განვითარებაზე. მაგრამ მარტო ეს როდი ახასიათებს მის თანამედროვე სახეს. ყაზახეთი დღეს — ეს არის ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური რესპუბლიკა. ალბათ ახლა ვერ ნახავთ აულსა და სოფელს, სადაც არ იყოს სკოლა, ბიბლიოთეკა ან კლუბი. ყაზახეთმა, სადაც ცარიზმის დროს ას ყაზახზე მოდიოდა მხოლოდ ორი წერა-კითხვის მცოდნე, დღეს სპეციალისტთა მომზადების ტემპითა და გაქანებით გაუსწრო მსოფლიოს ბევრ განვითარებულ სახელმწიფოს. და გასაკვირველიც არ არის: რესპუბლიკაში დღეს არის ათი ათასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც სწავლობს სამ მილიონზე მეტი მოსწავლე. ორასზე მეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი ყაზახეთში ამზადებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის კვალიფიციურ კადრებს.

მხარეში, სადაც წინათ განათლებული კაცი ისევე იშვიათად შეგხვდებოდათ, როგორც ხე უწყლო უდაბნოში, ხალხის წიაღიდან აღიზარდა ათასობით პედაგოგი, ექიმი, ინჟინერი, აგრონომი, მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი.

მხარეში, სადაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ „მეცნიერის" ცნებაზე, ვინაიდან არსებითად არ ჰყავდათ მეცნიერები, ამჟამად ნაყოფიერად მუშაობს 200-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება. მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას. მეცნიერ მუშაკთა რიგებში 25 ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული.

ხასხასა, მრავალნაირი ფერებით ბრწყინავს დღეს სოციალისტური ყაზახეთის კულტურა. ყველა საბჭოთა ადამიანი მაღალ შეფასებას აძლევს მის საუკეთესო მიღწევებს.

ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ჩვენს ქვეყანაში კულტურულ რევოლუციას თან სდევდა „ეროვნული ტრადიციების დაკარგვა". მაგრამ საბჭოთა სინამდვილე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რაოდენ უსაფუძვლოა ეს მონაჩმახი. მართალი ის არის, რომ დღეს გამოჩენილი ყაზახი განმანათლებლების ჩოკან ვალიხანოვის, იბრაი ალტინსარინისა და აბაი კუნანბაევის შვილიშვილები და შვილთა შვილები დღეს დიდაინაზე აქტიურად ეწაფებიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიად საგანძურს, ეუფლებიან და ამრავლებენ სხვა ხალხების მიერ, მთელი ისტორიის მანძილზე კაცობრიობის მიერ შექმნილ სიმდიდრეს. მაგრამ ასევე სწორია ისიც, რომ სოციალიზმის დროს უმაგალითოდ აყვავდა ყაზახი ხალხის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების თვითმყოფადი კულტურა, [illegible] გაიზარდა მათი წვლილი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კულტურის საერთო საგანძურში.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს სოციალიზმის გარდამქმნელ ძალას. სწორედ ეს არის ჭეშმარიტი, ლენინური კულტურული რევოლუცია პრაქტიკულად!

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მივულოცო საბჭოთა ყაზახეთის ყველა მშრომელს — მუშათა კლასს, სოციალისტური სოფლის მშრომელებს, ინტელიგენციას — რესპუბლიკის ორმოცდაათი წლის სახელოვანი იუბილე. გისურვებთ თქვენ, ამხანაგებო, ახალ შესანიშნავ წარმატებებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ აღმავლობის საქმეში.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ყაზახეთის სსრ ნახევარი საუკუნის იუბილესთან ერთად ყაზახი ხალხი და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი აღნიშნავენ აგრეთვე ყაზახეთის კომუნისტური პარტიის სახელოვან ორმოცდაათი წლისთავს. კლასობრივ ბრძოლებში შობილი, მრავალი განსაცდელის ქარცეცხლში გამოწრთობილი, ყაზახეთის კომპარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმია, მისი საიმედო დასაყრდენია.

ნახევარი საუკუნის მანძილზე რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც 17 ათასი კაცი იყო, კომუნისტ-ლენინელთა ნახევარმილიონიანზე დიდ რაზმად გადაიქცა. თავის ორმოცდაათი წლის იუბილეს იგი ხვდება იდეურად გამოწრთობილი და ორგანიზაციულად განმტკიცებული, ლენინური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული.

ყაზახეთის კომუნისტები რესპუბლიკის ყველა სახელოვანი საქმის ორგანიზატორები არიან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებში მათ რევოლუციის ჯარისკაცები მიჰყავდათ მშრომელთა მტრების — ბაებისა და კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველი ხუთწლედების დროს მათი შრომითი გმირობა იყო ის დროშა, რომლის გარშემო ირაზმებოდა მრავალი ათასი მუშა და გლეხი. ფრონტზე გმირობისა და გულადობის, ზურგში შრომითი მამაცობის ნიმუშები უჩვენეს ყაზახმა კომუნისტებმა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში. ფრონტზე წავიდა 82 ათასი კომუნისტი — ყაზახეთის პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო ნაწილი. ყველა განსაცდელიდან, ყველა ბრძოლიდან — შრომითი იქნებოდა ის თუ მხედრული, კომუნისტები გამოდიოდნენ კიდევ უფრო გაკაჟებულნი, კიდევ უფრო გამოწრთობილნი.

საბჭოთა ყაზახეთისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწის სახელი.

დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყაზახეთის კომუნისტური პარტია რაზმავს რესპუბლიკის მშრომელებს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის საბრძოლველად, ყოველდღიურად ზრდის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ურღვევი მეგობრობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პარტიის რიგებში აღიზარდნენ ახალი ტიპის ადამიანები, მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის მამაცი და მტკიცე მებრძოლები. პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფ განვითარებასთან ერთად შეიქმნა ყაზახეთის სახელოვანი მუშათა კლასი, ახალი ტიპის სოფლის მშრომელი, მოწინავე საბჭოთა ინტელიგენცია. თუ 1928 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 200 ათასზე ცოტა მეტი მუშა და მოსამსახურე იყო, ახლა 4,5 მილიონი მუშა და მოსამსახურე მთელ თავის ნიჭსა და უნარს, მთელ თავის ძალას ახმარს კომუნისტური მშენებლობის დიად საერთო საქმეს.

შესანიშნავი კადრები ჰყავს დღეს ყაზახეთს. მრეწველობაშიც, სოფლის მეურნეობაშიც, კულტურის სარბიელზეც — ყველგან შრომობენ ენთუზიასტები და თავისი საქმის მცოდნენი, სოციალისტური სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები, რომლებითაც ჩვენ კანონიერად ვამაყობთ. კომუნისტური შრომის მოწინავენი — ეს არის ჩვენი მშვიდობიანი დროის გვარდია, საბჭოთა ხალხის ოქროს ფონდი. პარტია ეყრდნობა მათს გამოცდილებას, სწავლობს მას, ავრცელებს მასებში და ამით აჩქარებს მთელი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმის გზით.

ჩვენი პარტიის ძალა, როგორც ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაადასტურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელმა არჩევნებმა, მჭიდროდ დაკავშირებულია მასებთან. ხალხთა ურღვევი ერთიანობა მისი მძლავრი ენერგიის, ურყევი ნებისყოფისა და ძალის წყაროა, ეს ერთიანობაა ყველა ჩვენი წარმატების, ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

პარტიის რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობის ყოველდღიური განმტკიცება, მისი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი — აი საუკეთესო გარანტია იმისა, რომ კომუნისტები არიან ხალხის ნდობის ღირსნი, რომ ისინი წარმოადგენენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს ყაზახეთის კომუნისტებს რესპუბლიკის კომპარტიის ორმოცდაათი წლისთავს. გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ წარმატებებს, ახალ სახელოვან გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თუნდაც სულ მოკლედ შევეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზები, მისი გენერალური კურსი. ისინი მკაფიოდ განსაზღვრა პარტიის XXIII ყრილობამ და თანმიმდევრულად ახორციელებენ პრაქტიკული საქმეებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა. სულ უფრო მტკიცდება სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური კავშირი, აქტიურდება და ღრმავდება მათი ყოველმხრივი თანამშრომლობა, წარმატებით ვითარდება ჩვენი ინტერნაციონალური მეგობრობა და თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს რევოლუციურ, განმათავისუფლებელ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან. ამ თვალსაზრისით უპირველესი მნიშვნელობა აქვს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლისა და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის არაბული ქვეყნების ბრძოლისათვის მხარდაჭერას. ჩვენ განუხრელად ვახორციელებთ იმპერიალისტ აგრესორთა ზრახვების მხილებისა და ჩაშლისათვის, საერთაშორისო ურთიერთობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრების კურსს.

ახლა მინდა კონკრეტულად შევეხო საერთაშორისო ცხოვრებაში ამ ბოლო დროს მომხდარ ორ მოვლენას: სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

[illegible]

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამასწინანდელი მოსკოვის სხდომა, რომელმაც განიხილა აქტუალური საერთაშორისო საკითხები. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა საერთო მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც ვიბრძოლოთ ევროპაში სოციალიზმის ძალების, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. სხდომის მონაწილეებმა, კერძოდ, განაცხადეს, რომ აქტიურად შეუწყობენ ხელს ევროპის უშიშროების შემდგომ განმტკიცებას, სახელდობრ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას.

ამრიგად, ამხანაგებო, ერთხელ კიდევ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ჩვენს ეპოქაში მსოფლიო სოციალისტური სისტემა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მთავარი ბურჯია, ხოლო სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკა საბოლოო ანგარიშით შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის ძირეულ საარსებო ინტერესებს.

მინდა ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ გარემოებას.

სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით იმპერიალისტური ქვეყნების პრესა აქვეყნებს ბევრ სხვადასხვა მონაჭორსა და ცილისწამებას. ამტკიცებენ, მაგალითად, თითქოს ხელშეკრულების დადებით საბჭოთა კავშირმა „ხელი გაითავისუფლა აღმოსავლეთში, რათა გააძლიეროს ჩინეთზე ზეგავლენა".

რა შეიძლება ითქვას ამის გამო?

ცნობილია, რა თქმა უნდა, რომ დასავლეთში, იმპერიალისტურ წრეებში ბევრი ისეთი მოღვაწეა, რომლებსაც ძალიან უნდათ ერთმანეთს წაჰკიდონ საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და, როგორც იტყვიან, ამით ხელი მოითბონ. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ ვაჟბატონებს იმედები გაუცრუვდებათ. მათი იმედები იმას ემყარება, რომ არ ესმით, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, შეგნებულად ამახინჯებენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის ნამდვილ მიზნებსა და პრინციპებს.

ჩინეთთან ურთიერთობის საკითხში ჩვენი პოლიტიკა სავსებით ნათელი და ფართოდ ცნობილია. უკვე ბევრჯერ მომიხდა ამაზე ლაპარაკი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია შეესაბამება ორივე ჩვენი ქვეყნის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის და ყველა ჩაგრული ხალხის რევოლუციური, განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ჩვენ არ დავთმობთ ჩვენი სამშობლოს ეროვნულ ინტერესებსა და საბჭოთა ხალხის უშიშროებას. ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად ვიბრძოლებთ სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ ამ პრინციპულ ხაზს და მზად არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არა მარტო სახელმწიფო ურთიერთობის ნორმალიზაციას, არამედ აგრეთვე საბჭოთა და ჩინელი ხალხების კეთილმეზობლობისა და მეგობრობის აღდგენას, მათი ძალების გაერთიანებას იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამჟამად, როგორც იცით, პეკინში გრძელდება სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება ორი ქვეყნის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე. მოლაპარაკება მიმდინარეობს ნელი ტემპით, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, ვიჩენთ და კვლავაც გამოვიჩენთ კონსტრუქციულ და მოთმინებით მიდგომას, ვინაიდან ვესწრაფვით გამოვნახოთ განხილული საკითხების ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტა. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩინეთის მხარეც ასევე მოიქცევა, ვინაიდან მოლაპარაკების წარმატებული დამთავრებით, ჩვენი აზრით, ჩინეთი ნაკლებად არ უნდა იყოს დაინტერესებული, ვიდრე სსრ კავშირი.

კვლავინდებურად სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა. ისრაელის აგრესია და არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციები, რომლებიც სამ წელზე მეტია გრძელდება, ნაკარნახევი იყო საერთაშორისო იმპერიალისტური წრეების მისწრაფებით მოესპოთ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების პროგრესული რეჟიმები, ლახვარი ჩაეცათ მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. არაბული ქვეყნების მტკიცე, გაბედული პოზიციისა და სოციალიზმის ქვეყნებისა და სხვა პროგრესული ძალების აქტიური მხარდაჭერის მეოხებით ეს განზრახვა ჩაიფუშა.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის წარმოშობისთანავე საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით განუხრელად ცდილობდა პოლიტიკური გზით მოეწესრიგებინა იგი სამართლიან საფუძველზე. ასეთ საფუძველს იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია.

საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს იმით, რომ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება არ შეიძლება ჩადენილი დანაშაულისათვის აგრესორის რაიმე დაჯილდოების საფუძველზე. ასეთი მშვიდობის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ისრაელის აგრესიის ყველა შედეგის სრული ლიკვიდაციის გზით, კერძოდ, ყველა დაპყრობილი ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანის შედეგად. ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს ეროვნული უფლებების, უშიშროების, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, მათ შორის პალესტინელი არაბების სამართლიანი უფლებების უზრუნველყოფას.

როგორც ცნობილია, 8 აგვისტოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იორდანიის მთავრობებმა განაცხადეს, რომ თანახმა არიან შეწყვიტონ სამი თვით შეიარაღებული მოქმედება. მხედველობაში გვაქვს, რომ ამ პერიოდში განხორციელდება ახალი ღონისძიებანი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ორივე მხარისათვის მისაღები პოლიტიკური მოწესრიგების საძიებლად. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ და იორდანიამ თავიანთი წარმომადგენლები დანიშნეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების საშუალებათა განსახილველად.

არაბული სახელმწიფოების ამ მოქმედებამ აიძულა ისრაელის მმართველი წრეები აგრეთვე დათანხმებულიყვნენ ცეცხლის შეწყვეტას, და, თუმცა კბილებში გამოსცრეს, მაინც პირველად თქვეს, რომ მზად არიან შეასრულონ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დებულებანი. მხარეების რწმუნებულებმა თითქოს დაამყარეს პირველი კონტაქტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენლის იარინგის მეშვეობით.

საბჭოთა კავშირი, ბუნებრივია, დადებითად აფასებს მოვლენათა ასეთ განვითარებას. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მოითხოვდა, რომ მისია, რომელიც იარინგს დააკისრა უშიშროების საბჭომ, მთლიანად და ეფექტიანად შესრულებულიყო.

საბჭოთა კავშირში კმაყოფილებით შეხვდნენ იმას, რომ ამ საკითხში კონსტრუქციულ პოზიციას დაადგა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის მეთაურობით, რომელთანაც ამას წინათ მოსკოვში ძალიან გულახდილი, მეგობრული და სასარგებლო საუბარი გვქონდა.

ახლა გვაქვს შესაძლებლობა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტას მივუდგეთ რეალიზმისა და პასუხისმგებლობის პოზიციიდან. ახლა საჭიროა არა ახალი პროვოკაციები და ხრიკები ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გვერდის ასავლელად თუ დასარღვევად, არამედ მიღწეული შეთანხმების პატიოსნად დაცვა და რეალური ღონისძიებანი მშვიდობის სასარგებლოდ. იმათ, ვინც უკანასკნელი წლების მანძილზე ცდილობდა თავს მოეხვია არაბული ქვეყნებისათვის თავისი ნება „ძალის პოზიციიდან" და მიმართავდა აგრესიულ მოქმედებას, საშუალება აქვთ გონს მოვიდნენ და უარი თქვან ამ უპერსპექტივო, ავანტიურისტულ და საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის საშიშ გეზზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის შეწყვეტა შეესაბამება როგორც არაბული ქვეყნების, ისე ისრაელის საარსებო ინტერესებს. არაბ ხალხებს მშვიდობა სჭირდებათ ეროვნული [illegible] სული განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ხოლო ისრაელისათვის [illegible] არაბულ ქვეყნებთან ომი არა მარტო უპერსპექტივოა, არამედ უაღრესად საშიშიც ამ ქვეყნის შემდგომი ბედის თვალსაზრისით.

ახლო აღმოსავლეთში ჯერჯერობით მხოლოდ პატარა ნაბიჯი გადაიდგა მშვიდობის გზაზე, მაგრამ ეს ნაბიჯიც სამხედრო მოქმედების განგრძობის მომხრეებს, აგრესიული კურსის ყველა მომხრის მკვეთრ წინააღმდეგობას წააწყდა. ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის მშვიდობისმოყვარე ძალებმა ხელიდან არ გაუშვან ინიციატივა კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში და საშუალება არ მისცენ მშვიდობის მოწინააღმდეგეებს ჩაფუშონ მიღწეული შეთანხმება ან გამოიყენონ იგი თავიანთი დამპყრობლური ზრახვების შესანიღბავად.

ხალხთა საერთო ინტერესებისათვის საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, რათა ახლანდელი ცეცხლის შეწყვეტა გახდეს ახლო აღმოსავლეთის სამართლიანი, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის კარგი დასაბამი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, რომელიც ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკის ერთგულია, იგი კვლავაც ყველაფერს იღონებს, რომ ხელი შეუწყოს აგრესორთა ალაგმვას, ომის კერებისა და ომის საფრთხის ლიკვიდაციის და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ყაზახეთისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავის ამ საზეიმო დღეს დიდ სიამოვნებას მგვრის გაცნობოთ, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ყაზახეთის მშრომელთა დამსახურებას კომუნისტურ მშენებლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტი.

**(ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას).**

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, სულითა და გულით მივულოცო ყაზახეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს დიდი და დამსახურებული ჯილდო და ვუსურვო შემდგომი წარმატებანი და ბედნიერება.

**(სცენაზე ადიან რესპუბლიკის ხელმძღვანელები და შრომის მოწინავენი. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყაზახეთის სსრ დროშას მიაბნია ოქტომბრის რევოლუციის ორდენი).**

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს ერთხელ კიდევ ვუსურვო დიდი წარმატებანი მათს ძნელსა და კეთილშობილურ მუშაობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყაზახეთის მშრომელები არ დაიშურებენ ძალღონეს კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდებიან ლენინის დიადი პარტიის მომავალ XXIV ყრილობას.

გაუმარჯოს ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ყაზახეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოისმინეს დიდი ყურადღებით. სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.**

**ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის უკანასკნელ სიტყვებს საზეიმო სხდომის მონაწილენი შეხვდნენ ფეხზე ამდგარი, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.**

# გმირული ბრძოლისა და შრომითი მიღწევების ნახევარი საუკუნე

(გაგრძელება)

ჩვენს ხალხს მუდამ ემახსოვრება ათასობით თავისი საუკეთესო შვილის საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმენი. ბევრი მათგანი მამაცურად დაიღუპა რევოლუციისათვის ბრძოლებში, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე. მათ სიცოცხლე შესწირეს მშრომელი ხალხის ბედნიერებას, ჩვენი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

დ. ა. კუნაევმა ყველა შეკრებილთ სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისათვის.

შემდეგ ამხანაგმა კუნაევმა თქვა: ჩვენს დღესასწაულს აღვნიშნავთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის წელს. მას, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს, მის მიერ შექმნილ და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას უნდა უმადლოდეს ყაზახი ხალხი ყველა თავის გიგანტურ მიღწევასა და გამარჯვებას.

გულში ლენინის ხსოვნით ჩვენი პარტიისა და მისი მებრძოლი შტაბის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ყაზახეთის კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი მტკიცე რწმენით ადგანან ილიჩის მიერ დასახულ გზას, ყველგან და ყველაფერში წმიდად ასრულებენ მის დიად ანდერძს.

ამ საზეიმო დღეს ჩვენ სულითა და გულით ვუძღვნით მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელებს იმ მუდმივი ყოველმხრივი და ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ჩვენ აგრეთვე სულითა და გულით გიძღვნით დიდ მადლობას თქვენ, ძმებო და დებო, რუსებო და უკრაინელებო, ბელორუსებო და უზბეკებო, ყირგიზებო და ტაჯიკებო, თურქმენებო და ლიტველებო, ლატვიელებო და ესტონელებო, აზერბაიჯანელებო და სომხებო, მოლდაველებო და ქართველებო, ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენს ხალხს გაუკეთეთ!

ჩვენთვის მეტად სასიხარულო და სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს დღესასწაულზე ჩამოვიდა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი**.

საბჭოთა ხალხი ლეონიდ ილიას-ძეს იცნობს როგორც დაუცხრომელ და ერთგულ ლენინელს, რომელიც სათავეში უდგას ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და არ იშურებს ძალ-ღონესა და ჯანმრთელობას, ეწევა დაუცხრომელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, რათა დარაზმოს კომუნისტები და ყველა საბჭოთა ადამიანი ლენინური გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენთვის, ლეონიდ ილიას-ძევ, მეტად სასიამოვნოა, რომ, დიდი მოუცლელობის მიუხედავად, გამონახეთ შესაძლებლობა და გაიზიარეთ ჩვენი სიხარული. განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ, რომ პარტიის ნების შესასრულებლად თქვენ სათავეში ჩაუდექით ყაზახეთის კომუნისტურ პარტიას ჩვენი რესპუბლიკის განვითარების ერთ-ერთ პასუხსაგებ პერიოდში, როცა ჩვენში ათვისებული იყო მილიონობით ჰექტარი ყამირი მიწა. [illegible] დაუცხრომელი საქმიანობით თქვენ უდიდესი პირადი წვლილი შეიტანეთ ყამირისა და ნასვენი მიწების ათვისებაში, საბჭოთა ყაზახეთის მთელი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

თქვენ მოიხვეჭეთ ყაზახი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა უდიდესი პატივისცემა, თქვენთვის ღიაა ყაზახეთის ყველა მშრომელის გული, რომლებიც მხურვალედ და გულითადად მოგესალმებიან როგორც ყველაზე ძვირფას სტუმარს!

ამხანაგებო, ჩვენს ზეიმზე ჩამოვიდნენ ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით საბჭოთა ქვეყნის თანასწორ ხალხთა ურღვევ თანამეგობრობაში პირველს — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს. 200 წელზე მეტი ხნის წინათ ყაზახმა ხალხმა თავისი ბედი დაუკავშირა დიდ რუსეთს. წყაროს წყალივით წმინდა და გრანიტივით მტკიცე, დროითა და მკაცრი განსაცდელით შემოწმებული ჩვენი მეგობრობა ურღვევია. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც დიდი ოქტომბრის დროშა აღმართა, ყაზახ ხალხს ისევე როგორც რუსეთის ყველა ხალხს, გაუკვალა სოციალური პროგრესის, თავისუფლებისა და ბედნიერების გზა. ჩვენ მარად მადლობელი ვიქნებით დიდი რუსი ხალხისა უანგარო დახმარებისათვის, რომელსაც უწევდა და უწევს საბჭოთა ყაზახეთს სოციალისტურ მშენებლობაში. ყაზახი ხალხის შვილები რუს ძმებთან ერთიან მწყობრში, მხარდამხარ იცავდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დიდი სამამულო ომის წლებში, და ბრძოლის ველებზე ერთად დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი დიადი მეგობრობა. მიიღეთ, ძვირფასო რუსო ძმებო, ჩვენი უდიდესი გულითადი და გულწრფელი მადლობა ყველაფრისათვის, რაც გულუხვად გვიძღვენით.

ჩვენს დღესასწაულზე სულითა და გულით მივესალმებით რუსეთის ფედერაციის დელეგაციას რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **მ. ა. იასნოვის** მეთაურობით.

ჩვენს ზეიმს ესწრება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — გმირი ქალაქის მოსკოვის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. გრიშინი**.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთათვის მოსკოვი სამშობლოს განსახიერებაა, მისი გულია. მსოფლიოში არ არის უფრო წმიდა, ძვირფასი და მშობლიური ქალაქი. მოსკოვისაკენ, კრემლისაკენ მუდამ მიპყრობილია ჩვენი ხალხის ფიქრები და მისწრაფებანი.

ჩვენს გულში სამუდამოდ დაისადგურა ლენინის ქალაქის — დიდი ოქტომბრის აკვნის სიყვარულმა. მოხარული ვართ მივესალმოთ ამ დიადი გმირი ქალაქის დელეგაციას ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **ა. ა. სიზოვის** მეთაურობით.

ლენინგრადი ყაზახეთის შეფი იყო ხუთწლედების წლებში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ წვლილს, რომელიც ლენინგრადელებმა შეიტანეს ყაზახეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

გთხოვთ ყველა მოსკოველსა და ლენინგრადელს გადასცეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა ყაზახეთის საწარმოო ძალების განვითარებაში ძმური, ფასდაუდებელი დახმარებისათვის.

ჩვენს დღესასწაულზე ჩამოვიდა უკრაინელი ხალხის დელეგაცია უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ა. პ. ლიაშკოს** მეთაურობით

შრომისმოყვარე უკრაინელ ხალხთან ყაზახეთის მშრომელებს აკავშირებთ დიდი ხნის ტრადიციული მეგობრობა. მისი სათავეები იმ დროიდან მოდის, როცა ცარიზმის შავბნელ წლებში ყაზახეთის მიწაწყალზე ამ მეგობრობის თესლი დათესა დიდმა კობზარმა ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკომ.

დნეპრისპირეთიდან გადმოსახლებულთაგან გადაიღო ყაზახეთის ველმა ხვნა-თესვის გამოცდილება, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყაზახეთის მიწათმოქმედების განვითარებაში. და დღეს ყაზახეთის ველებზე ნაყოფიერად შრომობს უკრაინელი ხალხის მრავალი ათეული ათასი შვილი. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ სტუმრებს შორის ვხედავთ გმირი ბელორუსი ხალხის წარმომადგენლებს, რომლის დელეგაციას მეთაურობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ი. კისელიოვი**.

საბჭოთა ბელორუსიის მშრომელებთან ყაზახ ხალხს აკავშირებს დიდი ხნის ამხანაგობა, რომელიც განმტკიცებულია კომუნიზმის გამარჯვებისათვის ერთობლივი ბრძოლითა და შრომით. ყაზახეთში არ არის კაცი, რომელმაც არ იცოდეს, თუ რა უმძიმესი განსაცდელი ხვდა წილად ბელორუს ხალხს დიდი სამამულო ომის წლებში, ბელორუსიის ტყეებში, პოლესიეს ჭაობებში ბელორუსების მხარდამხარ იბრძოდნენ მტერს და იმარჯვებდნენ ყაზახი მეომრები. ახლა კი ჩვენ ერთად ვაშენებთ კომუნიზმს.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით გადავცე ჩვენს ძმებს უკრაინელებსა და ბელორუსებს ყაზახი ხალხის გულთბილი სალამი.

სტუმრებს შორის არიან ჩვენი კეთილი მეზობლები. მოხარული ვართ მივესალმოთ უზბეკეთის მშრომელთა დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **შ. რ. რაშიდოვის** მეთაურობით, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის დელეგაციებს, რომლებსაც მეთაურობენ კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები **ტ. უსუბალიევი, დ. რასულოვი, მ. გაპუროვი**.

ჩვენ გვაკავშირებს არა მარტო გეოგრაფიული სიახლოვე, არა მარტო საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი საერთო კულტურა, არამედ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ხალხების საერთო ისტორიული ბედი, საერთო მიზანი, რომლისკენაც მივდივართ ხელიხელჩაკიდებულნი ლენინის გზით, კომუნიზმის გზით.

ნება მიბოძეთ ყაზახეთის მშრომელთა სახელით გულითადი მადლობა ვუძღვნა უზბეკ, ყირგიზ, ტაჯიკ და თურქმენ ხალხებს, რომლებიც გულწრფელად იზიარებენ ჩვენს სიხარულს ამ საზეიმო დღეს.

ათასობით კილომეტრი აშორებს ყაზახეთს კავკასიის, ბალტიისპირეთისა და მოლდავეთისაგან. მაგრამ ვერავითარი მანძილი ვერ დაარღვევს ჩვენს მეგობრობას აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და მოლდავეთის ხალხებთან.

ისევე როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის სხვა ხალხები, ისინი გულუხვად ეხმარებოდნენ და ეხმარებიან ყაზახეთს კომუნისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო ჩვენი მოძმე ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრებამ.

ვთხოვთ ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის დელეგაციათა ხელმძღვანელებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. პ. მჟავანაძეს**, რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებს **გ. ა. ალიევს, ა. ე. კოჩინიანს, ა. ე. ვოსს, ი. გ. კებინს, ი. ი. ბოდიულს** და ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **მ. ი. შუმაუსკასს** მიიღონ და თავიანთ ხალხებს გადასცენ ჩვენი გულითადი მადლობა იმ ძმური დახმარებისათვის, რომელიც ყაზახეთს გაუწიეს კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე.

დელეგაციათა შემადგენლობაში გვესტუმრნენ ავტონომიური რესპუბლიკების პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები: თათრეთისა — **ფ. ა. ტაბეევი**, ბაშკირეთისა — **მ. ზ. შაკიროვი**, ყარაყალპაკეთისა — **კ. კამალოვი**, აგრეთვე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები. ამ რესპუბლიკების ხალხებთან გვაკავშირებს საერთო ისტორიული ბედი, კომუნიზმის ისტორია. ნება მიბოძეთ გულითადად მივესალმოთ თათრეთის, ბაშკირეთის, ყარაყალპაკეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელებს.

მოხარული ვართ მივესალმოთ დღეს აგრეთვე ორენბურგის ოლქის მშრომელებს პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ა. ვ. კოვალენკოს** სახით. ორენბურგი ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი დედაქალაქი იყო. ჩვენ ორენბურგის ოლქის მშრომელებთან დიდი ხნის ტრადიციული ურთიერთობა გვაქვს.

ჩვენს ზეიმს ესწრება ერთ-ერთი სახელგანთქმული მხედართმთავარი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო**. თქვენი სახით, ამხანაგო მარშალო, მხურვალედ მივესალმებით ჩვენს სახელოვან შეიარაღებულ ძალებს.

ჩვენს სტუმრებს შორის არის ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის პირველი მდივანი **ე. მ. ტიაჟელნიკოვი**.

ერთხელ კიდევ დიდ მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ლე- [illegible]

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# გმირული ბრძოლისა და შრომითი მიღწევების ნახევარი საუკუნე

(დასასრული)

სამრეწველო განვითარების უმნიშვნელოვანესი სოციალური შედეგი იყო ყაზახეთში საბჭოთა მუშათა კლასის დიდი რაზმის, მისი ეროვნული კადრების შექმნა. გუშინდელი მომთაბარენი დაეუფლებოდნენ ახალ ტექნიკას და, ხატოვნად რომ ვთქვათ, უმეტესად საუკუნეებიდან პირდაპირ სოციალიზმში მიაბიჯებდნენ.

ლენინური კოოპერაციული გეგმის შესაბამისად ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები მოხდა ყაზახეთის სოფლის მეურნეობაშიც.

...

საწარმო და საამქრო. ყაზახეთის მრეწველობაში მოხდა სერიოზული თვისებრივი ძვრები: გაიზარდა წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა, ფართოდ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, გაუმჯობესდა შრომის პირობები, გაიზარდა მისი ნაყოფიერება. ყაზახეთის მშრომელები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულია სასტარტო მოედანი, საიდანაც უშვებენ საბჭოთა კოსმოსურ ხომალდებს. ტრამალის პატარა განაპირა ადგილის სახელწოდება — ბაიკონური — ახლა მჭიდროდ არის დაკავშირებული კოსმოსური სივრცის ათვისების ისტორიასთან, რომლის პიონერები საბჭოთა ადამიანები გახდნენ.

შემდეგ რა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას, დ. ა. კუნაევმა აღნიშნა, რომ ამ ეზოში გადამწყვეტი დიდი ნაბიჯი. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ყამირი და ნასვენი მიწების მასობრივმა ათვისებამ, რაც მთელი საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის სიმბოლო, შრომითი და ინტერნაციონალური აღზრდის სკოლა გახდა. უმაგალითოდ მოკლე ვადებში ყაზახეთში მოხნეს და აითვისეს 25 მილიონ ჰექტარზე მეტი ახალი მიწები. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში.

...

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ამოცანები, რომლებიც უახლოეს წლებში უნდა გადაჭრან რესპუბლიკამ და ყაზახეთის კომპარტიამ.

იქვეყნებ რა თავიანთ რესპუბლიკის მეორე ორმოცდაათწლეულს, ყაზახეთის კომუნისტები, ყველა მშრომელნი, თქვა დასასრულ დ. ა. კუნაევმა, საზეიმოდ აძლევენ პირობას ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან ოქტომბრით მოპოვებულ საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას, განამტკიცებენ და განავითარებენ მოძმე რესპუბლიკებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ურთიერთობას.

(ამ. დ. ა. კუნაევის მოხსენებას დამსწრეები დიდი ყურადღებით მოისმენენ. მოხსენებას არაერთხელ ტაშით აწყვეტინებენ.)

...

პარტიამ, რომელიც სკკპ ერთ-ერთი უდიდესი მებრძოლი რაზმია. ყაზახეთის კომპარტია ეწეოდა და კვლავაც ეწევა უდიდეს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

თავის ორმოცდაათ წლისთავს ყაზახეთის კომუნისტური პარტია იდეურად გამოწრთობილი და ორგანიზაციულად განმტკიცებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული შეხვდა.

...

ვა; ბელორუსიისაგან — ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი; ... სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი; ქალაქ მოსკოვისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი; უკრაინისაგან — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო; ქალაქ ლენინგრადისაგან — ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ა. სიზოვი ...

... კომიტეტის გარშემო საბჭოთა ყაზახეთის მშრომელთა მონოლითური შეკავშირების მკაფიო დემონსტრაციად, ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ მიმავალი საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

**ნ. კოლესოვი, ი. ნოვიკოვი,**
საქდესის სპეც. კორესპონდენტები.

ალმა-ატა, 28 აგვისტო.

## გულითადი შეხვედრები ყაზახეთში

ალმა-ატა, 27 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). გულთბილად შეხვდნენ ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმრებს ალმა-ატის საწარმო-დაწესებულებების, დედაქალაქის, ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები. მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციებმა მხურვალედ მიულოცეს ყაზახეთის მშრომელებს სახელოვანი იუბილე.

ამ დღეს მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანას ეწვია რუსეთის ფედერაციის დელეგაცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მიღწეულ შრომით წარმატებებზე ესაუბრნენ მოძმე უკრაინელი ხალხის წარმომადგენლებს ბამბეულის კომბინატის მშრომელები. ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა ბელორუსიის დელეგაცია.

სახლთსამშენებლო კომბინატის მშრომელები ძმურად და გულთბილად შეხვდნენ უზბეკეთის სსრ დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის მეთაურობით.

28 ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ და შრომობენ „ალმა-ატის" საბჭოთა მეურნეობაში. თამბაქოს უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანაში მოპოვებული მიღწევები გაუზიარეს მათ სომხეთის დელეგაციის წევრებს.

ლიტველი, მოლდაველი, ლატვიელი, თურქმენი სტუმრები იყვნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში., შეხვდნენ ყაზახ ფიზიკოსებს, მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერებს. ისინი ეწვივნენ აგრეთვე ყაზახეთის ყურმანღაზის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტს.

მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენელთა შეხვედრებმა ყაზახეთის მშრომელებთან დაადასტურა საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

## მთელი ქვეყანა უსმენდა ალმა-ატას

**მილიონობით** ტელემაყურებელი და რადიომსმენელი უყურებდა და უსმენდა 28 აგვისტოს პირდაპირ გადაცემას ალმა-ატიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავს. გადაცემას აწარმოებდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზია და რადიოსადგურები. (საქდესი).

## ნიკოლოზ კანდელაკის ხსოვნას

## გამოჩენილი ოსტატი



**ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ** წავიდა ჩვენგან საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი ნიკოლოზ კანდელაკი. ქართული მხატვრობისათვის ეს დანაკლისი აუნაზღაურებელია.

ნ. კანდელაკმა ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში საფუძველი დაუდო ახალ რეალისტურ მონუმენტურ ქანდაკებას და თვალსაჩინო ... რთული შემოქმედებით აზრის ტრადიციებს და ქმნიდა ახალს, სოციალისტური რეალიზმის შესატყვის პოზიციებს.

მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი თავისი შეგნებით ნ. კანდელაკი უმღეროდა და ასახავდა ჩვენს დიდ თანამედროვეს — საბჭოთა ადამიანს, მის გმირულ საქმეებსა და დიად ...

განსაკუთრებით თვალსაჩინოა კანდელაკის დამსახურება ქართული ფიგურული ქანდაკების დამკვიდრებასა და განვითარებაში. ნ. კანდელაკი საბჭოთა ხელოვნებაში თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ფიგურული ქანდაკების ერთ-ერთ ძლიერ და თვალსაჩინო წარმომადგენლად.

...

... ქმნიდა ქართული მონუმენტური თუ დაზგური ქანდაკების ხელოვნებას. ორივე სფეროს არა მარტო ერთნაირად ფლობდა, არამედ ერთნაირი სიყვარულით და ინტერესითაც ეკიდებოდა.

**შალვა ა...**

## სპორტის ამბები

## ყაზახეთის სსრ 50 წლისთავის სახელობის პიკი

ალმა-ატა, 27 აგვისტო. (საქდეს-ყაზდესის კორ.). ამ დღეებში, როცა ყაზახეთის რესპუბლიკა აღნიშნავს 50 წლის იუბილეს, მთამსვლელთა რესპუბლიკური კლუბის სპორტსმენთა ჯგუფმა, რომელიც ალმა-ატელებისა და ყარაგანდელებისაგან შედგება, სპორტის ოსტატის, მუსიკისმცოდნე ანატოლი კელბერგის ხელმძღვანელობით დაიპყრო ტიან-შანის ერთ-ერთი ქედის კუნგეი-ალათაუს უსახელო მწვერვალი, და ...

## „უნივერსიადა-70"

...

## ჰოკეი ბალახზე

...

## მსოფლიო დღეს

### მოლაპარაკება დამთავრდა

**27 აგვისტოს** მოსკოვში დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის დელეგაციასა და ინდონეზიის რესპუბლიკის დელეგაციას შორის ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის საკითხზე. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, ინდონეზიის რესპუბლიკის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მალიქი.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეები მორიგდნენ და ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, თუ რა პირობებით უნდა გადაუხადოს ინდონეზიამ საბჭოთა კავშირს დავალიანება, აგრეთვე განხილულ იქნა ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის საკითხები. (საქდესი).

### სსრ კავშირის საელჩოს პროტესტი

**ვაშინგტონი,** 28 აგვისტო. (საქდესი). სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ პროვოკაცია მოუწყვეს შეერთებულ შტატებში გასტროლებზე მყოფ სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობს იგორ მოისეევი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩიკაგოს „სივიკ ოპერა ჰაუსის" თეატრში უცნობმა პირებმა ცრემლსადენგაზიანი კანისტრები შეყარეს მაყურებელთა დარბაზში, რის შედეგადაც კონცერტი ჩაიშალა.

### მოიწონეს

**ლიმა,** 27 აგვისტო. (საქდესი). პერუს საზოგადოებრიობამ მოიწონა საბჭოთა კავშირ-პერუს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მანქანებისა და მოწყობილობის გამოგზავნას საბჭოთა კავშირიდან პერუში.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ხორხე დელეპიანემ განაცხადა, რომ „შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს პერუს ეკონომიურ განვითარებას".

### ფინეთის მოსახლეობა

**ჰელსინკი,** 27 აგვისტო. (საქდესი). ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ფინეთის მოსახლეობის რიცხვი ივლისის დამლევისათვის იყო 4.695.000.

### წყალდიდობა ნეპალში

**კატმანდუ,** 28 აგვისტო. (საქდესი). ხუთასამდე კაცი დაიღუპა ნეპალის სხვადასხვა რაიონში მეწყერისა და წყალდიდობის შედეგად, რაც გამოწვეული იყო კოკისპირული მუსონური წვიმებით. ნეპალის ეროვნული სააგენტო იუწყება, რომ დაინგრა ოთხი ათასზე მეტი სახლი, გაჩანაგდა მოსავალი 50 ათას ჰექტარ ფართობზე.

### მინისტრების ადის-აბების შეხვედრაზე

**ადის-აბება,** 27 აგვისტო. (საქდესი). აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს აჭაური სესიის პოლიტიკურ კომიტეტში დღეს დაიწყო განხილვა საკითხისა, რომელიც განსაკუთრებით აღელვებს ახლა აფრიკის კონტინენტის საზოგადოებრიობას. ეს საკითხია ინგლისის მთავრობის განზრახვა იარაღის მიწოდება განუახლოს სამხრეთაფრიკელ რასისტებს.

კომიტეტის სხდომა გახსნა კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნჯოროგე მუნგაიმ, რომელმაც განაცხადა, რომ პრეტორიის რასისტული რეჟიმისათვის იარაღის ყოველგვარი მიწოდება „წინასწარგანზრახულ საფრთხეს უქმნის აფრიკელთა მისწრაფებას თავისუფლებისა და თვითგამორკვევისადმი".

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1970-1971 წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

**დღის სწავლების განყოფილება**

I. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი (გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობით) — 15 ადგილი ...

... — 20 ადგილი, II. ... ეკონომიკის ფაკულტეტი — 40 ადგილი.

მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის და ფიზიკის ფაკულტეტებზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ბიოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში (წერა), ქიმიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი), ეკონომიურ და დარგობრივი ეკონომიკის სპეციალობებზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს მათემატიკაში ...

... ბელსაბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი წარმოადგენენ სათანადო სამხედრო ნაწილის მი... თავმჯდომარის მიერ. კოლმეურნეთა ... კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ... სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ დახასიათებას, გაცემულს სკოლის ...

... თვლით 14 საათიდან 20 საათამდე.

მისაღები გამოცდები 5-დან 12 სექტემბრამდე.

საბუთები მიიღება უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ... უნივერსიტეტის ქ. № 2. ტელეფონი 31-40-62.

## ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

### ტელევიზია

● **შაბათი, 29 აგვისტო**

11.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირველი ორბიტალური", 12.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „საუბარი მხატვრობაზე". საკავშირო სამხატვრო გამოფენა (გადმოცემა მოსკოვიდან), ... ამხანაგები", 13.00 — მოსწავლეთათვის — „გააკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად" (გადმოცემა ბერლინიდან), 14.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ნემპიონები", 14.30 — დოკუმენტური ფილმი — „დიადი გმირობა", 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — სატელევიზიო ჟურნალი — „ჯანმრთელობა", 17.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — ... ხანი ღამის სტუმრები", 21.05 — „მომბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „ტორპედო" მოსკოვი — „სპარტაკი" მოსკოვი. მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ნინო".

● **ᲙᲕᲘᲠᲐ, 30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ**

10.30 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მეზღვის დღე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა ბავშვებისათვის — „პატარა სასწაული", 11.45 — მხატვრული ფილმი — „გასიოს ტრუბაჩოვი და მისი ... 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — ბავშვებისათვის — მრავალსერიიანი უნგრული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ელიანი ციხე-სიმაგრე" — პირველი, მეორე და მესამე სერია (ქართულ ენაზე), 19.50 — გადაცემა „ჩვენ პირველი სექტემბერია", 20.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „მთვარი-...

● **ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

11.05 — ... უნგრული მხატვრული ფილმი „ქალთევზინი ბეწვდი". პირველი სერია (ქართულ ენაზე), 23.20 — სტუდენტთა საზაფხულო სპორტული თამაშობანი (გადმოცემა იტალიიდან).

● **ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.35 — უნგრული მხატვ-...

... რული ფილმი „ქ...დი". პირველი სერია ..., 18.05 — ახალი ამბები, ... კინონარკვევი, 18.35 — ... „ადამიანი და სამყარო", 20.30 — გადაცემა „ახალგაზრდულ მერიდიანებზე", 20.45 — გადაცემა „მობურთალთა მოედანი", 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მსოფლიოს მუზეუმებში" — ერმიტაჟი გადაცემა მეორე, 21.40 — „მომბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — კინოკონცერტი. ბერძნული მხატვრული ფილმი „შავგვრიანი ქალიშვილი".

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

**კომუნისტი**

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეები — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-55, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-31, ფიზოთის — 93-35-97, წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-34.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 — უე 05742 — საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.